საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>თეა ლეონიძე</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 23.07.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად წარდგენილ იქნეს გენადი მაკარიძე?
(დიახ) არა

23 ივლისი, 2021 წელი **ქ. თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის №1/138 განკარგულებით დაწყებული პროცედურის ფარგლებში, 2021 წლის 23 ივლისს ჩატარებული ღია კენჭისყრის შედეგად, მივიღე შემდეგი გადაწყვეტილება:

საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე ასარჩევად წარედგინოს გენადი მაკარიძის კანდიდატურა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აღნიშნული გადაწყვეტილების წერილობით დასაბუთებას.

დანართი: წერილობითი დასაბუთება - 2 ფურცლად

პატივისცემით,

თეა ლეონიძე
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

23 ივლისი, 2021 წელი ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად გენადი მაკარიძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის №1/138 განკარგულების საფუძველზე დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურაში მონაწილეობა მიიღო გენადი მაკარიძემ.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 9 ივლისს, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატი - გენადი მაკარიძე, რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 92 ქულა, რაც ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 92%-ს შეადგენს.

საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის №1/136 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი: გენადი მაკარიძე.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2021 წლის 23 ივლისს საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა მითითებულ კანდიდატთან დაკავშირებით, მისი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად, რომლის შედეგად მივიღე გადაწყვეტილება - საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს გენადი მაკარიძის კანდიდატურა, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამმა შეადგინა 918 ქულა და კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით გავიდა პირველ ადგილზე. შესაბამისად, გენადი მაკარიძე კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით,

არა მხოლოდ მე შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით, არამედ - საბჭოს სხვა წევრებმაც, რამაც დამარწმუნა, რომ გენადი მაკარიძე სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

თეა ლეონიძე
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი